ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს სხდომის ოქმი N2

ქ. ამბროლაური

31 აგვისტო 2022 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ასლან საგანელიძე.

2) საბჭოს მდივანი-ბელა აბაიშვილი

საბჭოს წევრები:

მამუკა ხიმშიაშვილი, მერაბი ჩიტალაძე, სიმონ ჭელიძე, ბაქარ ბაკურაძე, ელიზბარ კობახიძე, პაატა მაჭანკალაძე, მაია კაციტაძე, ნათია მარგველიძე, ესმა მაისაშვილი, ნინო ჯოხაძე, ლელა რობაქიძე, ელევნორა ბედენაშვილი, ერეკლე დოხნაძე, მიხეილ დალაქიშვილი, მერაბ გეწაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი-ზვიად მხეიძე და საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გენდერულ საკითხებში მარინე ჯაფარიძე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა და საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა დასწრებისთვის.

ასლან საგანელიძემ საბჭოს გააცნო გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარის ნინო წილოსანის წერილი, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტში ქალთა ოთახის შექმნას, ქალთა ოთახების მოწყობა სახელმწიფოს პარტნიორი, დონორი ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერითა და ძალისხმევით ხორციელდება, პროექტის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე

ქალების გაძლიერებას მათი ჩართულობის გაზრდას და მდგრად განვითარებას. შესაბამისად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითთმართველობის მიერ აქტიურად იქნას მხარდაჭერილი.

საბჭოს წევრებმა და მუნიციპალიტეტის მერმა იმსჯელეს წარმოდგენილ ინიციატივაზე და ვინაიდან პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალების გაძლიერებას, გააქტიურებას და მათ ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთხმად დაუჭირეს მხარი ახალი საბიუჯეტო წლიდან ქალთა ოთახის შექმნას.

სხდომის თავმჯდომარე- ასლან საგანელიძე

სხდომის მდივანი- ბელა აბაიშვილი